სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18895161738222

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220191679

რეგისტრაციის თარიღი

24.02.2022 წ

ნოტარიუსი: ნინო ხოფერია
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
ტელეფონი: +995 32 2 98 70 24

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

მინდობილობა

დღეს, ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაოთხ თებერვალს, მე, ნოტარიუს ნინო ხოფერიას სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, რუსთაველის 28/2, მომმართა შპს ,, ჯიენდენ ,,- ის დირექტორმა **ნინა ტროფიმოვამ** (დაბ. 14.04.1989წ. რეგ.მის. თბილისი ტ.შევჩენკოს ქ. N 1 ბ. 8ა.პირადი ნომერი 01317064135) თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან მომზადებული 10.08.2021წ. (საიდენტიფიკაციო # 404516788) რომელმაც წარმოადგინა მინდობილობა შდგენილი **გიორგი მჭედლიშვილს** (დაბ. 17.10.1974წ. პ/ნ: 01007001686) მიმართ და განაცხადა რომ სურს აღნიშნული მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, ნოტარიუსმა ნინო ხოფერიამ, შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა/უფლებამოსილება და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში/უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთების საფუძველზე, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შევამოწმე შესაბამისი უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე. შემდეგ შევადგინე ტექსტი, რომელიც წაეკითხა მხარეს ხმამაღლა, მიმნდობს განემარტა მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს მინდობილ პირს, მხარეს აგრეთვე განემარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და მხარემ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა შედგენილია ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს ნინო ხოფერიას არქივში, რომელსაც თან ერთვის შპს ,, ჯიენდენ ,,- ის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ერთი ეგზემპლარი გადაეცა მხარეს.

სანოტარო საზღაური - 10 (ათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, პ.7, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე და 2 (ორი) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი ოთხმოცი) თეთრი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

დღეს, ორიათას ოცდაორი წლის ოცდაოთხ თებერვალს, შპს ,, ჯიენდენ ,,- ის დირექტორი ნინა ტროფიმოვა (დაბ. 14.04.1989წ. რეგ.მის. თბილისი ტ.შევჩენკოს ქ. N 1 ბ. 8ა.პირადი ნომერი 01317064135) თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან მომზადებული 10/08/2021წ. საიდენტიფიკაციო # 404516788 – ანიჭებს უფლებამოსილებას **გიორგი მჭედლიშვილს (დაბ. 17.10.1974წ. პ/ნ: 01007001686),** რათა იგი იყოს შპს ,, ჯიენდენ ,,- ის წარმომადგენელი, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, სსიპ იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოში, იუსტიციის სახლს დაქვემდებარებულ ნებისმიერ უწყებაში, საჯარო და სამეწარმეო რეესტრში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, შსს-ში, საპატრულო პოლიციაში, აუდიტორიულ კომპანიებთან ურთიერთობაში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან, მერიაში, გამგეობაში, სანოტარო ბიუროში, საქართველოში არსებულ ნებისმიერ კომუნალური მომსახურების მიმწოდებელ კომპანიასთან, არქივში, სამინისტროებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში, აწარმოოს ყველა სახის საგადასახადო და საბაჟო პროცედურები, უზრუნველყოს საზოგადოების სახელზე შემოსული ტვირთის (ნივთების) განბაჟება დატრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე, განაბაჟოს ტვირთი (ნივთები), გამოიყენოს შპს ,, ჯიენდენ ,,- ის ბეჭედი, ხელი მოაწეროს განბაჟებასთან დაკავშირებით საჭირო საბუთებს, შეავსოს საზოგადოების სახელით დეკლარაცია, გადაიხადოს საჭირო გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების განსახორციელებლად, საზოგადოების სახელით შეიძინოს ან/და გაასხვისოს უძრავ/მოძრავი ქონება, სატრანსპორტო საშუალებები (ავტომანქანა/ები), გააფორმოს უძრავ/მოძრავი ქონება თავის ან მესამე პირის სახელზე, დადოდ გარიგება საკუთარ თავთან, გადაიხადოს საჭირო გადასახადები და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების განსახორციელებლად, მიიღოს მშენებლობის/დაშენების ნებართვა საზოგადოების საკუთრებაში არსებულ ნებისმირ უძრავ ქონებაზე, საჭირო ორგანოებში მოახდინოს სამშენებლო პროექტის წარდგენა/შეთანხმება/დამტკიცება, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები დამტკიცებულ პროექტში, მოახდინოს პროექტის კორექტირება, მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები ზემოთ აღნიშნულ ორგანოებში, გასცეს თანხ ობები, ხელი მოაწეროს განშლის, უძრავი ქონების ფართ(ებ)ის დაზუსტების/დაკანონების და სხვა ტიპის ოქმებს, დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, გადაწყვეტილებებს, საჭირო დოკუმენტებს, დაარეგისტრიროს/დააკანონოს/გამიჯნოს/გაყოს ან/და გააერთიანოს საზოგადოების საკუთრებაში ნებისმიერი უძრავი ქონება, მოახდინოს ფართების დაზუსტება/დაკანობება, ნომრის და კოდის მინიჭება, საკუთრების უფლების რეგისტრაცია, გაასხვისოს (გაყიდოს) საზოგადოების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება (არსებული და სამომავლო) ხელი მოაწეროს ნასყიდობის, იპოთეკის/იპოთეკის გაუქმების, იჯარის და სხვა ტიპის ხელშეკრულებებს, საჭირო დოკუმენტებს, მიღება ჩაბარების აქტებს, თავად განსაზღვროს ნებისმიერი ხელშეკრულების (გარიგების) თანხა, ვადა და სხვა პირობები, გადაიხადოს ყველა აუცილებელი სახღაური, მოსაკრებელი და ფულადი თანხა, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის განცხადებები, მოწმობები ზემოთ ხსენებული სამსახურებიდან, მიიღოს ნებართვები, ამონაწერი, მოწმობა, ასლი, განაცხადოს/გასცეს თანხმობები, ისარგებლოს ყველა იმ უფლებამოსილებით რომელიც წესდებისა და კანონმდებლობის თანახმად აქვს კომპანიის დირექტორს მინიჭებული.

შპს ,, ჯიენდენ ,,- ის სახელით, ს.ს ,,თიბისი ბანკი,,-დან, ს.ს. ,,საქართველოს ბანკი,,-დან და საქართველოში არსებული ნებისმიერი ბანკიდან აიღოს ან/და დაფაროს ნებისმიერი სახის (მათ შორის სალომბარდე) სესხი, გააკეთოს არსებული სესხის კონვერსია (ლარიზაცია) ხელი მოაწეროს: ხელშეკრულებას გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ და/ან შემადგენელ/საკრედიტო /საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს, დაზღვევის ხელშეკრულებას, ხელი მოაწეროს ყველა ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა დადამატებების შეტანის შესახებ შეთანხმებებს, ხელშეკრულებების გაუქმების, გრაფიკის ცვლილების, საკრედიტო ბარათის ლიმიტის ცვლილების (გაზრდა/შემცირება), სესხის წინსწრებით დაფარვის განცხადებას. მოახდინოს სესხების რესტრუქტურიზაცია/რეფინანსირება, ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში თავად განსაზღვროს ვადა, თანხა, პროცენტი, ვალუტა და სხვა პირობები. ასევე ხელი მოაწეროს ბანკის მოთხოვნით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა სახის ხელშეკრულებას/დოკუმენტაციას/განცხადებას/განაცხადს, რაც დაკავშირებულია საკრედიტო პროდუქტის მართვა/განკარგვასთან.

მართოს და განკარგოს შპს ,, ჯიენდენ ,,- ის კუთვნილი ანგარიშები (არსებული და სამომავლო) ს.ს ,,თიბისი ბანკი,,-ში, ს.ს. ,,საქართველოს ბანკი,,-ში და საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკში, შეიტანოს, გამოიტანოს და გადარიცხოს თანხა, გახსნას და დახუროს ანგარიში, ჩართოს ინტერნეტ ბანკინგი, უზრუნველყოს ინტერნეტ ბანკის პროგრამა კომპანიისთვის, მათ შორის მიიღოს დიჯიპასი, მოახდინოს დისტანციური სერვისების აქტივაცია/დეაქტივაცია, აწარმოოს გადარიცხვები და შეასრულოს ყოველგვარი საბანკო-საფინანსო ოპერაციები, დაამზადოს/განაახლოს და აიღოს ახალი პლასტიკურიბარათები,მიიღოს ბანკომატში დაკავებული პლასტიკური ბარათი, მიიღოს ყველასახის ინფორმაცია, ამონაწერები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, განცხადებებს, ხელშეკრულებებს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია უვადოდ

ნანა ჩოლოყაშვილი ----------------------------

ნოტარიუსი ნინო ხოფერია
NOTARY NINO KHOPERIA
GEORGIA
* 01008006210 *

აკინძულია
ფურცლად
ნოტარიუსი